ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11599/01
26/11/2019

11599-01-2-201911261353

შპს „რეციკლინგს“
მის: *ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 1 ოქტომბრის №13913 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი N24ა-ში შპს „რეციკლინგის“ მიერ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების და აღდგენის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

აღნიშნულ პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის ბრძანების (N2-682) შესაბამისად გაცემულია სკოპინგის დასკვნა (N50; 23.04.2019), რის შედეგადაც განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებები.

ზემოაღნიშნულ პროექტზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული დასამუშავებელი ნარჩენების კოდები და დასახელებები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხისა და კლასიფიკაციის“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია, დასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობის და წარმოშობის შესახებ. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს მათი აღდგენისა და განთავსების ოპერაციების კოდები და მათი აღწერილობა;
- არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია ნარჩენების დამუშავებისთვის გამოსაყენებელი საშუალებების და მოწყობილობების შესახებ, აღნიშნულიდან გამომდინარე გაურკვეველია მათი ზუსტი წარმადობის დადგენა (მოცემული უნდა იყოს დანადგარის დასახელება და მოდელი);
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული ნარჩენები კოდებით 170411 და 200136 წარმოადგენს სარკისებური ნარჩენების კოდებს მათი კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული N426 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;
- გზშ ანგარიშის პროექტით წარმოდგენილი ნარჩენები კოდებით 200107 და 200105 ამავე დადგენილების დანართში არ იძებნება. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;

- გზშ-ის ანგარიშში არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების შემდგომ მიღებული ნარჩენების მართვის საკითხები, კერძოდ: წინასწარი დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების კოდები, დასახელებები, სავარაუდო რაოდენობები, მათი დროებითი განთავსება და შემდგომი მართვა და სხვა;
- საწარმოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია არასრულია და არ შეესაბამება საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსს და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებს;
- სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შერჩეული ალტერნატივის (ტექნოლოგიია, ტერიტორია) დასაბუთება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. გარდა ამისა, სკოპინგის დასკვნის მიხედვით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია და დასაბუთდეს გარემოსდაცვითი კუთხით სკოპინგის ანგარიშში აღნიშნული ,,საუკეთესო ტექნოლოგიის" გამოყენების საშუალებები. აღნიშნულთან დაკავშირებით, გზშ-ის ანგარიშში, გვ. 14-ზე აღნიშნულია პარაგრაფი 4.4, რომელსაც გზშ-ის ანგარიში საერთოდ არ შეიცავს;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ხმაურის გავრცელების გაანგარიშება შესრულებული უნდა იყოს ,,საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (გვ. 115, ცხრილი 7.3.2.2.1); ·
- სკოპინგის დასკვნის მოთხოვნის თანახმად, ,,საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიის მიწათსარგებლობის შესახებ" ცხრილში მოცემული მონაცემები, კერძოდ: ობიექტის ტიპები და საპროექტო ტერიტორიიდან დაცილების მანძილები საჭიროებდა დაზუსტებას. თუმცა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ცხრილში აღნიშნული მონაცემები შეცვლილი არ არის.

სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო წყვეტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენილ უნდა იქნეს გადამუშავებული გზშ-ის ანგარიში სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული ინფორმაციის და ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე